

„გამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია

„ 9 „ 2017 წ.



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საკლუბო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი

(III და IV ტური)

თბილისი

2017
28 ივნისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში;
- იმ კლუბების გამოვლენა, ვინც იასპარეზებს საშემოდგომო ფინალურ ეტაპზე.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობას იღებს 8 კლუბი: შევარდენი-2005, ლიდერი, ოლიმპი, ლომჭაბუკი, ვიპ ძიუდო, დურმიშხანი, სამურაი, პატარა კახი.

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- შეჯიბრი ჩატარდება 2017 წლის 28 ივნისს ქ. თბილისში, ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე ქ. თბილისი 27 ივნისი, წასვლა 29 ივნისი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10.00 საათი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 5 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში: 60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; 100კგ; +100 კგ
- 28 ივნისს ტარდება საკვალიფიკაციო ეტაპის ორი რაუნდი (III და IV ტურები) – შესაბამისად თითოეული გუნდი გამართავს 2 ორთაბრძოლას.

აწონვა: ქ. თბილისი, ძიუდოს აკადემია

27 ივნისი

60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; 100 კგ;+100 კგ

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

VI. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები და საპრიზო თანხა

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დამისთვევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და სხვ) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად.
- საპრიზო თანხა :

საპრიზო თანხა II საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ორი შეხვედრისათვის შეადგენს – 56 000 (ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარს:

8 შეხვედრა – 7 წონა – მოგება 1 000 (ათასი) ლარი

8X7X1000 ლარი = 56 000 (ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარი

თითოეული სპორტსმენის ყოველ მოგებულ შეხვედრაზე გუნდს ერიცხება 1000 ლარი, რაც ნაწილდება შემდეგი პრინციპით – საერთო თანხის 35% მოგებულ სპორტსმენებს, 5% - მწვრთნელს, ხოლო დარჩენილი თანხა თანაბრად ნაწილდება მოგებულ და წაგებულ სპორტსმენებსა და მწვრთნელზე.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;

ელექტრონული მისამართი: geojudofed@gmail.com

საკონტაქტო პირი – გიორგი ათაბეგაშვილი 595 21 25 23

საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577 99 44 07

P.S.

- შეჯიბრებაზე აუცილებელი პირობაა თითოეულ სპორტსმენს ჰქონდეს, როგორც ლურჯი, ასევე თეთრი ფერის კიმანო.
- შეჯიბრზე სპორტსმენთათვის დასაშვებია 2კგ ზედმეტი წონა.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი